

მოქალაქეთა ასამბლეის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

1. ასამბლეის ორგანიზება ხდება შემდეგი სტანდარტების შესაბამისად:

- 1) მკაფიო მიზანი - ასამბლეის ამოცანა არის მკაფიოდ განსაზღვრული - საჭიროა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრა;
- 2) მონაწილეთა შემთხვევითი შერჩევა - ასამბლეის ყველა წევრი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩევა. შემთხვევითი შერჩევა ხდება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება შემთხვევით შერჩეული მოქალაქეების მოწვევა მონაწილეობის მისაღებად, ხოლო მეორე ეტაპზე ხდება ასამბლეის წევრთა საბოლოო ჯგუფის, მათ შორის, ალტერნატიული წევრების, შემთხვევითი შერჩევა;
- 3) ინკლუზიურობა - ასამბლეაში მონაწილეობის უფლების მქონე მოსახლეობის ყველა წევრს პოტენციურად შეუძლია მიიღოს მოწვევა მონაწილეობის მისაღებად. პროცესის სანდოობის უზრუნველსაყოფად, ასამბლეის წევრობისთვის შეიძლება გარკვეული შეზღუდვები დაწესდეს;
- 4) ასამბლეის წარმომადგენელთა დემოგრაფიული შემადგენლობა - ასამბლეის წევრთა ჯგუფის შემადგენლობა ძირითადად ემთხვევა პროცესში მონაწილე თემის დემოგრაფიულ პროფილს. ჯგუფის დემოგრაფიული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება კრიტერიუმების ნაკრები, როგორცაა ასაკი, სქესი, გეოგრაფიული არეალი ან სხვა. მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას საზოგადოების მოდელი მინიატურაში. ჯგუფის ზომა სხვადასხვა შეხედულებების ჩართვის შესაძლებლობას იძლევა;
- 5) ხელმისაწვდომობა - დღის წესრიგის შედგენისას გასათვალისწინებელია, რომ შეხვედრების თარიღები და საათები მონაწილეთა უმეტესობისთვის იყოს ხელსაყრელი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი მხარდაჭერა. საჭიროების შემთხვევაში, სასურველია უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა მოვლის სერვისები. ხოლო ექსპერტებმა კი უნდა გამოიყენონ ე.წ. ადვილად გასაგები ენა კომუნიკაციის პროცესში.
- 6) ადვილად გასაგები წესები - ასამბლეის ორგანიზებასთან დაკავშირებული ყველა პრინციპი და პროცედურა მკაფიოდ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის;
- 7) დამოუკიდებელი კოორდინაცია - ასამბლეს მართავს დამოუკიდებელი საკოორდინაციო გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია შემთხვევითი შერჩევის პროცესის მომზადებაზე, დღის წესრიგის შემუშავებაზე, ექსპერტებისა და ფასილიტატორების მოწვევაზე და ა.შ. საჯარო სამსახურის წევრები საკოორდინაციო გუნდში არ შედიან. კოორდინატორები

მიუკერძოებელი არიან, მაგალითად, არ არიან აქტიური პოლიტიკოსები ან უშუალო დაინტერესებული მხარეები;

- 8) კომპეტენციების განვითარების ფაზა - ასამბლეის წევრებისთვის გათვალისწინებულია შესავალი, რათა გაეცნონ თავიანთ როლს და შეიძინონ მოქალაქეთა ასამბლეაში მონაწილეობისთვის საჭირო პრაქტიკული უნარები. შესაძლებელია ამ ფაზის სასწავლო ფაზასთან გაერთიანება.
- 9) სასწავლო ფაზა - პროცესი იწყება სწავლის ეტაპით, რომელიც ასამბლეის წევრებს საშუალებას აძლევს ზედმიწევნით გაიგონ თემა და ჩამოაყალიბონ კარგად გააზრებული რეკომენდაციები;
- 10) გამოხატვის თავისუფლება - ასამბლეის ყველა მონაწილეს შეუძლია გამოხატოს თავისი შეხედულებები და მოსაზრებები, სხვების მიმართ პატივისცემის ფარგლებში;
- 11) პერსპექტივების/შემოთავაზებების ყველაზე ფართო პრაქტიკული დიაპაზონი - იდეალურ შემთხვევაში, ყველა პერსპექტივა და გადაწყვეტილება თემასთან დაკავშირებით ასამბლეის სასწავლო ფაზაშია წარმოდგენილი. შეიძლება მოხდეს რამდენიმე პერსპექტივის/შემოთავაზების კომბინირება შეზღუდული დროის ან სხვა პრაქტიკული მოსაზრებების გამო;
- 12) ღიაობა - საზოგადოების ყველა წევრს შეუძლია შენიშვნების, წინადადებების ან რეკომენდაციების სახით მიაწოდოს ინფორმაცია ასამბლეის წევრებს;
- 13) ყველა დაინტერესებული მხარის მოწვევა - ნებისმიერ ორგანიზაციას, არაფორმალურ ჯგუფს ან დაწესებულებას, რომლის მუშაობის სფერო და გამოცდილება ასამბლეის თემასთან არის დაკავშირებული, უფლება აქვს თავისი მოსაზრება ასამბლეის წევრებს წარუდგინოს. საკოორდინაციო გუნდის როლი მოიცავს მხოლოდ დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას და არა მათ შერჩევას. შეზღუდული დროისა და დაინტერესებული მხარეების დიდი რაოდენობის გამო, შეიძლება მოხდეს რამდენიმე დაინტერესებული მხარის მიერ ერთი წარმომადგენლის არჩევა, რომელთაც მსგავსი პოზიცია/მოსაზრება გააჩნიათ განსახილველ საკითხზე.
- 14) ასამბლეის წევრებს შეუძლიათ ექსპერტების მოწვევა - მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მომზადებულია საკოორდინაციო გუნდის მიერ, ასამბლეის წევრებს შეუძლიათ მოიწვიონ დამატებითი ექსპერტები ან მოწმეები საკუთარი არჩევანით და საკოორდინაციო გუნდთან კოორდინაციით;
- 15) განხილვის ფაზა - დისკუსიები, რომლებიც მოიცავს სხვების ყურადღებით მოსმენას და პოტენციური გადაწყვეტილებების განხილვას, ასამბლეის ძირითად ელემენტს წარმოადგენს. განხილვის ფაზის დღის წესრიგი

მოიცავს დისკუსიებს როგორც მცირე ჯგუფებში, ასევე პლენარულ სხდომაზე, რათა მონაწილეებს შესაძლებლობა ექონოდათ მაქსიმალურად გამოხატონ მოსაზრებები და მოისმინონ სხვების აზრი. განხილვის ფაზა ტარდება გამოცდილი ფასილიტატორების მხარდაჭერით;

16) საბოლოო განხილვის ფაზა - ასამბლეის წევრების საბოლოო კენჭისყრის ჩატარებამდე, ექსპერტებს, დაინტერესებულ მხარეებს და საზოგადოებას ეძლევა შესაძლებლობა განიხილონ წინადადებები რეკომენდაციების მოსამზადებლად და მიაწოდონ ინფორმაცია კომენტარებისა და წინადადებების სახით;

17) რეფლექსიისთვის საკმარისი დრო - რეფლექსიისთვის საკმარისი დროის მიცემა აუცილებელია კარგად გააზრებული გადაწყვეტილებების მისაღწევად. თუ გადაუდებელი საქმე არ არის, უმჯობესია არ იჩქაროთ პროცესის დასრულება. ასამბლეის წევრებს შეუძლიათ გაზარდონ შეხვედრების ხანგრძლივობა და რაოდენობა, თუ ამას საჭიროება იქნება.

18) შედეგი - ასამბლეის რეკომენდაციების შესრულების მზაობის დონე თავიდანვე ნათელია. რეკომენდაციების მიღებიდან 3 თვის ვადაში ასამბლეის ყველა რეკომენდაციაზე მერმა წერილობითი პასუხი უნდა წარადგინოს;

19) გამჭვირვალობა - სასწავლო ფაზაში ხორციელდება ყველა გაჟღერებული პრეზენტაციის პირდაპირ ეთერში გადაცემა და ჩაწერა. ასამბლეის წევრებისთვის წარდგენილი ყველა მასალა ასევე ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში. საკოორდინაციო გუნდი წარადგენს ანგარიშს, რომელშიც პროცესის მეთოდოლოგიის დეტალებია წარმოდგენილი;

20) ინფორმირებულობა - თითოეული ასამბლეა მნიშვნელოვანი მოვლენაა საზოგადოების ცხოვრებაში. საჯაროდ ცხადდება ინფორმაცია ასამბლეის ორგანიზების შესახებ პროცესის დაწყებამდე და მოქალაქეებს მიეწოდებათ ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება ჩაერთონ ამ პროცესში;

2. ასამბლეის სტანდარტები შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებთან არის დაკავშირებული:

- 1) დემოკრატია არის ყველასთვის.
- 2) პროცესი წარიმართება სამართლიანი და სანდო მეთოდებით.
- 3) დემოკრატის პირობებში ადამიანები დამოუკიდებელნი არიან.
- 4) დემოკრატის მიზანია ცხოვრების მაღალი ხარისხის ხელშეწყობა.
- 5) მოქალაქეთა ასამბლეის მიზანია მაღალხარისხიანი, კარგად გააზრებული გადაწყვეტილებების მიღება.

- 6) თითოეული ადამიანი საკუთარი შინაგანი ღირსების შესაბამისად ფასდება.
- 7) პროცესით კმაყოფილება წარმატების საზომია.